საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2015-2017 წლის საქმიანობის ანგარიში

მომზადებულია 2011-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით.

- ✓ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2015-2017 წლებში. ყველა სკოლას და თითქმის ყველა პროგრამას ჰყავს პარტნიორი უნივერსიტეტი ევროპიდან და აშშ-დან, რამაც სტუდენტებს მისცა საშუალება Tempus-ის პროექტის ფარგლებში გაცვლითი პროგრამებში მიეღოთ მონაწილეობა ვროცლავის, ზალცბურგის და ბრატისლავას უნივერსიტეტებში; წარმატებით გრძელდება ორმაგი სამაგისტრო და საბაკალავრო ხარსხისა და საზაფხულო სკოლის პროგრამები.
- ✓ მიმდინარე საანგარიშო პერიოდი გამოირჩევა მოზიდული გრანტების რაოდენობის მაღალი ნიშნულით. GIPA დონორის მიერ დაფინანსებული პროექტების ძირითადი განმახორციელებლია პროექტის კონსორციუმის პარტნიორებს შორის და პასუხისმგებლობას იღებს განახორციელოს მასშტაბური პროექტები.
- ✓ MCC/MCA მიერ დაფინანსდა პროექტი 'პროფესიული განათლების მე-5 საფეხურისა და საერთაშორისოდ აღიარებული სასერთიფიკატო პროგრამების შემუშავება, დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია ჯანმრთლეობის, შრომის უსაფროების და გარემოს დაცვის მენეჯმენტში'.
- ✓ GIPA - ს პარტნიორი უნივერსიტეტებია: კოლუმბიის უნივერსიტეტი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, ტროის უნივერსიტეტი, ვროცლავის უნივერსიტეტი, კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟენევის ბიზნეს სკოლა (შვეიცარია), ტურიბას უნივერსიტეტი (ლატვია), Masaryk -ის უნივერსიტეტი, ჩეხეთის სამართლის სკოლა, ბრატისლავას უნივერსიტეტი.
- ✓ წარმატებით ხორციელდება საგრანტო პროექტები; ძირითადი დონორები და პარტნიორებია: აშშ -ს სახელმწიფო დეპარტამენტი, USAID, USDA, EU/EC, IREX, OSI, CJS; US CDC, EC/ENPARD 2, MCA Georgia, AAH, Mercy Corps, West Corck Development – Ireland, RRC international, FAO, CNFA.
- ✓ საანგარიშო პერიოდი გამოირჩევა ბიუჯეტისა და ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის გაუმჯობესებით: ახალი საბიუჯეტო სტანდარტების დანერგვა, კონსოლიდირებული ბიუჯეტისა და საბუღალტრო მომსახურების გაუმჯობესება. გრძელვადიანი საბიუჯეტო დაგეგმარების დანერგვა მომავალი ინსფრასტრუქტურული პროექტისათვის ფინანსების მობილიზების მიზნით.
- ✓ საქართველოს მთავრობამ უნივერსიტეტს შეღავათიან ფასში (საბაზრო ფასთან შედარებით) გადასცა 10.877 კვ.მ. მიწა კრწანისში. განკარგულება #2441თ, რაც მოიაზრებს 4 მლნ ლარის საინვესტიციო ვალდებულებას 3 წლის მანძილზე

- ✓ უნივერსიტეტის აქტივები-108 808 ლარი; საგრანტო შემოსავალი - 3,143,757 ლარი, საერთო კომერციული შემოსავალი - 1,401,532 ლარი; კომერციული შემოსავალი - 711,802 ლარი.

არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება/განვითარება

ხარისხის შენარჩუნების მიზნით, უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს არსებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება/მონიტორინგი, განახლება და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. უნივერსიტეტმა დაიმატა ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სკოლებში ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

<u>მმართველობის სკოლა:</u>

- ➢ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
- ➢ ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- ➢ გარემოს დაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა (ახალი პროგრამა)

<u>ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა:</u>

- ➢ მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

<u>სამართლისა და პოლიტიკის სკოლა:</u>

- ➢ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა
- ➢ საერთაშორისო სამართალის სამაგისტრო პროგრამა
- ➢ სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ➢ მიგრაციის სამაგისტრო პროგრამა-Tempus Georgia-s პროექტის ფარგლებში ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამა

<u>სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:</u>

- ➢ სოციალურ მეცნიერებებში საბაკალავრო პროგრამა
- ➢ გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა

- მმართველობის სკოლის ფარგლებში გაიხსნა ახალი სამაგისტრო პროგრამა - „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა" გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და GIZ-თან პარტნიორობით. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2016 წელს.
- მიმდინარეობს საერთაშორისო განვითარების სამაგისტრო პროგრამის ორმაგ ხარისხზე მუშაობა, დისტანციური სწავლების კომპონენტის აქტიური გამოყენებით.
- მიმდინარეობს ახალი სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებზე მუშაობა და მზადება აკრეტიდაციისათვის.
- ელექტრონული და პერსონიფიცირებული სწავლება ჟურნალისტებისთვის - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მეზობელი ქვეყნებისათვის - საპილოტე პროგრამა;
- ზალცბურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მაგისტრის ორმაგი ხარისხი დაინერგა საჯარო მმართველობა/ პოლიტიკურ მეცნიერებებში;
- ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრმა წარმატებით განხორციელდა საზაფხულო სკოლის პროგრამა, რომელიც ამერიკელ სტუდენტებს მასპინძლობს საქართველოში. ცენტრში შემდეგი პროგრამები ხორციელდება: ზოგადი მენეჯმენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ღონისძიებების მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, ბიზნეს მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, არქიტექტურული ვიზუალიზაცია, მენეჯმენტის ფსიქოლოგია, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, სამართლის ფსიქოლოგია, სტრესის მენეჯმენტი, ინტერპერსონალური ურთიერთობები, ფოტოგრაფია, კომუნიკაცია და გრაფიკული დიზაინი, ინტერიერის დიზაინი, სტრატეგიული და კრეატიული რეკლამა, კრეატიული კამპანია, Adobe MC, 3Ds MAX, მარკეტინგის სერტიფიცირებული მენეჯერი, გარემოს დაცვის პოლიტიკა, კულტურულის პოლიტიკა, ჯანმრთელობის პოლიტიკა და ადმინისტრაცია, კიბერ-უსაფრთხოება და ინტერნეტ სამართალი, მძიმე სასმელების მენეჯმენტი, ყველაფერი თბილისის შესახებ; სამი ახალი პროგრამა - გაყიდვების მენეჯმენტი, ციფრული დიზაინი და ბიზნეს ქოუჩინგი

არსებული საბაკალავრო პროგრამის დახვეწა

უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს საბაკალავრო პროგრამის დახვეწა, სრულყოფა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა

- პროფესიული განათლების განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, შესაბამისად უნივერსიტეტი მზად არის ინოვაციური, შრომის ბაზრის მოთხოვნაზე დაფუძნებული პროფესიული პროგრამების შემუშავებით, დანერგით და განხორციელებით ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზებას და გაძლიერებას. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს დაფინანსებით, RRC Internatioanal -თან პარტნიორობით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ახალი სტანდარტი, შექმნა ახალი მე-5 საფეხურის მოდულური პროგრამა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში.

უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავება/ ახალი პარტნიორების მოზიდვა

- უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას შემდეგ უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან: კოლუმბიის, ვროცლავის, ტროისა და ჯორჯ მეისონის, კოლორადოს, ჩეხეთის უნივერსიტეტები.
- უნივერსიტეტი თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო ინსტიტუციებთან, პროგრამებთან და პარტიორებთან: Tempus, IREX, USAID, USDA, EC/ENPARD, Mercy Corps, 'ამერიკის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი' (US CDC), ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრი, ჟურნალისტიკის ტრენინგ ასოციაცია (EJTA) ა.შ.შ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, CJS, OSI, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, MCC/MCA, West Cork Development, Ireland; RRC International, FAO
- გაფორმდა მემორანდუმი სამართლისა და პოლიტიკის სკოლასა და მასარიკის უნივერსიტეტის, ჩეხეთისა და მიჩიგანის სამართლის სკოლებთან.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა/სასწავლო ფართის და დამხმარე ფართის გაზრდა

- საქართველოს მთავრობამ უნივერსიტეტს შეღავათიან ფასში (საბაზრო ფასთან შედარებით) გადასცა 10.877 კვ.მ. მიწა კრწანისში განკარგულება #2441თ, რაც მოიაზრებს 4 მლნ ლარის საინვესტიციო ვალდებულებას 3 წლის მანძილზე (გადახდილი თანხა: 750,000 ლარი)

კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ხელშეწყობა

- პროექტი GIPA-ს კურსდამთავრებულები GIPA-ს მოქმედი სტუდენტებისათვის – "Networking" წარმატებით ხორციელდება. აქტიურად მიმდინარეობს კურსდამთავრებულთა შეხვედრები სტუდენტებთან.

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული ბაზის სრულყოფა

- აქტიურად მიმდინარეობს ინტრანეტის სპეციალური მრავალფუნქციური პროგრამის lmb.gipa.ge განვითარება, დახვეწა და გამოყენება

კვლევების, კონფერენციების, სხვადასხვა საგრანტო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა

- ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 2016 წლის ზაფხულში განხორციელდა ერთობლივი კვლევითი პროექტი;
- ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ფარგლებში განხორციელდა კონსულტაციები HR სტრატეგიის განვითარების საკითხებში GPB Georgia-სთვის;
- მმართველობის სკოლაში განხორციელდა შიდა კვლევა- "GIPA-ში ორგანიზაციული ეფექტურობის გაზომვა და მაჩვენებლები". კვლევა განხორციელდა RD-ს ფინანსური მხარდაჭერით;
- სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი EU/ENPARD II პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მასშტაბურ პროექტს - სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში; MCC/MCA დაფინანსებით GIPA -მ დაიმატა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - 'შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები' მე-5 საფეხური. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ახალი სტანდარტი და ახალი პროგრამა NEBOSH -ის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით; დეპარტამენტი Action Against Hunger (AAH) თანამშრომლობით ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს 'ნდობის გაღრმავება კონფლიკტის შედეგად დაზარელებულ მოსახლეობას შორის ბიო უსაფრთხოების და ერთიანი ჯანმრთელობის საკითხებზე საერთო მიდგომის მეშვეობით ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ (მე-3 ფაზა).
- ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით, ამერიკის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საელჩოების დახმარებით, ჟურნალისტიკის ინგლისურენოვანი პროგრამის სამეზობლო ქვეყნებში მედია სპეციალისტების ტრენინგისათვის ავითარებს ელექტრონულ/დისტანციურ/პერსონიფიცირებულ სწავლებას; სკოლა გაწევრიანდა ევროკავშრის წევრი ქვეყნების გაცვლით პროგრამაში. ევროკავშირის მიერ დაფინანსდა პროექტი- ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის პროექტი.
- მმართველობის სკოლა ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს GIPA-ს როგორც სამეწარმეო უნივერსიტეტის განვითარება; წარმატებით გრძელდება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ დაფინანსებული პროექტი 'სახელმწიფო ფორმირება' და 'დისკუსიის კლუბი'- ს განხორციელება.
- კვლევითმა ცენტრმა შემდეგი ღონისძიებები დააფინანსა: გამოწერის შეძენა ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის მედია არქივისათვის (provider the IPM company); საერთაშორისო სამუშაო

შეხვედრა/მრგვალი მაგიდა "სოციალური მეცნიერებები: ახალი გამოწვევები გარდამავალ საზოგადოებებში-ს თანა-ორგანიზება"; ონლაინ ჟურნალი - 2015-2016 წლებში GIPA-ს ონლაინ ჟურნალი *Politics and Democratization*-ის პირველი ორი ნაწილი დაიბეჭდა;

- ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრმა განავითარა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის HR სტრატეგია.

უცხოელი თუ ადგილობრივი პროფესიონალების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა/ინტერნაციონალიზაცია

- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა TEMPUS-ის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში ვროცლავის, ზალცბურგისა და ბრატისლავას ეკონომიკის უნივერსიტეტებში;
- მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლამ გამართა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა/მრგვალი მაგიდა "მეწარმეობა და გლობალური გამოწვევები"
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლამ ორგანიზება გაუწია და უმასპინძლა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა/მრგვალ მაგიდას: "სოციალური მეცნიერებები: ახალი გამოწვევები გარდამავალ საზოგადოებებში ";
- ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრმა და ჟურნალისტიკის ტრენინგის ასოციაციამ (EJTA) ჩაატარა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია: "მედიის სანდოობის გამოწვევები - ვის დავუჯეროთ?".

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემების სრულყოფა

- GIPA-მ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში: ექსპო ჯორჯიაში განათლების გამოფენა; სტუდენტური ფესტივალის და დოკუმენტური კინოფესტივალი GIPA DOCU-ს ორგანიზება; საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება; სათხილამურო ტურნირის ორგანიზება გუდაურში; Joshua Freedman-ის ყოველწლიური კონკურსი ორგანიზება და ა.შ.
- ფრონტლაინ კლუბში იმართება სხვადასხვა დებატები, რომლთა მიზანიც ქვეყნის მნიშვნელოვანი თემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაა, ეს ყოველივე ხორციელდება პროგრამის „ღია პლატფორმა (Open Platform)" ფარგლებში.

- შეიქმნა რადიო GIPA-ს ვებ-გვერდი ონლაინ stream-ის მოსასმენად და მობილური აპლიკაცია. 2016 წლის დასაწყისიდან რადიო GIPA-ს ეთერში ორენოვანი ახალი ამბების headline-ებია. რადიო GIPA გახდა პროექტი "Synesthesia"-ს პარტნიორი და ბათუმში ღონისძიებების თანაორგანიზატორი. რადიო GIPA-ს ორი წამყვანი სამუშაოდ მიიწვიეს საერთაშორისო რადიოებმა: ამერიკის ხმა VOICE OF AMERICA (ვაშინგტონი) და რადიო თავისუფლება (პრაღა, ჩეხეთი).

გამოწვევები:

- ✓ სტუდენტური თვითმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ✓ შშმ სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა
- ✓ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა დამატერიალურ ტექნიკური ბაზის/საბიბლიოთეკო ფონდის განახლება/გაუმჯობესება

დაგეგმილი აქტივობები:

- ✓ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატება
- ✓ 2018 წლის აკრედიტაციისთვის რესურსების მობილიზება
- ✓ უნივერსიტეტი მატერიალ -ტექნიკური ბაზის და საბიბლიოთეკო ფონდის განახლება
- ✓ ახალი, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული შენობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის პროექტის შერჩევა კონკურსის საფუძველზე
- ✓ უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან უნრთიერთობის გაყარება
- ✓ საგრანტო პროექტების მოზიდვა